სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

09 აგვისტო 2024

N 432/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელი ჭოპორტისა და სოფელი ახატანის ადმინისტრაციული ერთეულების სოფლების და მათი მიმდებარე ტერიტორიების სივრცითი დაგეგმარების გეგმის კონცეფციაზე სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 25-ე მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გაიცეს სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელი ჭოპორტისა და სოფელი ახატანის ადმინისტრაციული ერთეულების სოფლების და მათი მიმდებარე ტერიტორიების სივრცითი დაგეგმარების გეგმის კონცეფციაზე სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის დასკვნა.
2. სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტომ სგშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდსა და დუშეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/432-21-4-202408091541